



## Weisslack

### თეთრი ემალი

#### თეთრი ემალი ხისა და რკინისთვის

შესანიშნავი ფარვის მქონე ალკიდური თეთრი ემალი. ხანგრძლივად მყარი ზედაპირების შესაქმნელად, შიდა და გარე საშუალებებისთვის. ნაკანრების მიმართ მედეგი. შესანიშნავად ინმინდება.



### პროდუქტის აღწერა

#### შეფუთვის ზომები:

0,75ლ; 2,5ლ

#### პროდუქტის უპირატესობები:

შესანიშნავი ფარვის უნარი ნაკანრების მიმართ მედეგი ძალიან კარგი წმენდის ხარისხი

#### თვისებები:

პროდუქტი ქმნის იდეალურად გლუვ და ნაკანრების მიმართ მედეგ ზედაპირს. წარმოქმნის სუსტ არომატს ნასმის და შრობის დროს. ადვილად დაიტანება, სწრაფად შრება და შესანიშნავად ინმინდება.

#### შესაფერისი ზედაპირები:

დაგრუნტული ან ლაქნასმული ხის, ლითონის, მყარი პოლივინილქლორიდის ზედაპირები. საჭიროების შემთხვევაში: აგრეთვე მინერალური ზედაპირები, ცემენტის ბათქაშები, ბეტონი და გიფსოკარდონი.

#### ფერი / შეფერადება

თეთრი; ფერადდება Alpina Tint-ის კოლორანტების საშუალებით (ხელით).

#### CE "X" "A" "C" -ჭრისხი:

პრიალა და აბრეშუმისებრი მქრქალი.

#### ხელსაწყობები / ტემპერატურა:

დაიტანეთ აკრილის ემალებისთვის განკუთვნილი ფუნჯით ან გორგოლაჭით. შესაძლოა მიფრქვევით დატანაც. გამოიყენეთ არანაკლებ 5°C ტემპერატურისას (ჰაერი და ზედაპირი). გამოყენების შემდეგ იარაღები გაასუფთავეთ გამხსნელით - "უაით სპირიტი".

#### შრობის დრო / გამოყენების პირობები

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 5 საათის შემდეგ, მსაათის შემდეგ შეიძლება შემდეგი ფენის დატანა. უფრო დაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში ეს დრო იზრდება.

#### დატანის მეთოდები / ხარჯი:

არა მყარი ძველი დანაფარები მოაშორეთ და განმინდეთ ზედაპირი ქუჭყისა და მტვერისგან. მყარი ძველი დანაფარები ოდნავ გაშლიეთ. დაიტანეთ Alpina Weisslack 2 ფენა. შეუღებავი ზედაპირები წინასწარ დაგრუნტეთ Alpina Grundierung für Holz-ით ან Alpina Grundierung für Metall-ით. პროდუქტი კარგად ამოურიეთ. ხარჯი: 80-100 მლ/მ² - ერი ფენა.

#### დაფარვის სტრუქტურა / გაზავება:

საგრუნტი ფენა: Alpina Grundierung für Metall გაუზავებელი ან Alpina Grundierung für Holz გაუზავებელი. შუალედური და საბოლოო ფენა: Alpina Weisslack გაუზავებელი.

#### შემადგენლობა:

ალკიდის ფისი, უაით სპირიტი, პიგმენტი, მინერალური შემავსებლები, ადიტივები, ანტი-კოროზიის პიგმენტები. ევროპული ნორმების მიხედვით, ამგვარ ნაწარმში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (კატ. A/a) არ უნდა აღემატებოდეს 500 გ/ლ. ეს ნაწარმი შეიცავს < 500 გ/ლ VOC-ს.

## Weisslack

### ზედაპირის მომზადება

#### ზედაპირის მომზადება:

ფოლადი/რკინის ზედაპირებს სრულფასოვნათ მოაშორეთ ჟანგი. მოაშორეთ ზედაპირს ქუჩყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). დაგრუნტეთ პროდუქტით: Alpina Grundierung für Metall ან Alpina Grundierung für Holz.

#### ზედაპირები არამზიდი დანაფარებით: არამზიდი

ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაშორეთ ზედაპირს.

ზედაპირი	დანიშნულება	ზედაპირის მომზადება	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენა
ხე, ხის მასალები	ინტერიერი	გაიშლიფოს	Alpina Weisslack	-	Alpina Weisslack
	ექსტერიერი	გაიშლიფოს	Alpina Grundierung für Holz	Alpina Weisslack	Alpina Weisslack
მეტალი, რკინა	ინტერიერი / ექსტერიერი	გაინმინდოს ჟანგისგან	Alpina Grundierung für Metall	Alpina Weisslack	Alpina Weisslack
ცინკი	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	Alpina Grundierung für Metall	Alpina Weisslack	Alpina Weisslack
ალუმინი, სპილენძი,	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	Alpina Grundierung für Metall	Alpina Weisslack	Alpina Weisslack
მყარი PVC	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	Alpina Weisslack	-	Alpina Weisslack
ბეტონი	ინტერიერი / ექსტერიერი	განმაცალკეველებელი ნივთიერებები და ცარცვადი ნივთიერებები მოშორდეს	-	Alpina Weisslack	Alpina Weisslack
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	გამზადდეს და ზედაპირის მიხედვით გრუნტით გამოსწორდეს დეფექტები	Alpina Weisslack	Alpina Weisslack

#### ხარჯი

	დატანა ფუნჯით	დატანა გორგოლაქით	დატანა მიფრქვევით
მლ/მ²	80-100	90-100	100

### დამატებითი ინფორმაცია

#### გთხოვთ გაითვალისწინოთ

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განთავსებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. შეფრქვევით დამუშავებისას არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ღრუბელი. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".

#### უტილიზაცია:

საღებავის წარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამზმარი წარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

#### შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპერატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 5 წლის განმავლობაში.

#### ტექნიკური ინფორმაცია № 370, 2018 წლის მარტის მდგომარეობით

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.